



8 ივლისი 2011 წ.

## მოქალაქეთა რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით

*სამტრედია, ოზურგეთი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ზუგდიდი, ონი და მესტია*

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ დაასრულა საჯარო დებატების ციკლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, საარჩევნო საკითხებთან მიმართებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2011 წლის, 13 ივნისი - 1 ივლისის განმავლობაში ორგანიზაციამ ჩატარა **8** საჯარო დებატი საქართველოს **6** მუნიციპალიტეტსა და **2** თვითმმართველ ქალაქში, რომელსაც დაესწრო სულ **523** მოქალაქე. შეხვედრები გაიმართა **სამტრედიაში, ოზურგეთში, ფოთში, ქობულეთში, ბათუმში, ზუგდიდში, ონსა და მესტიაში**, სადაც „სამართლიანი არჩევნების“ და სამი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, ახალი თაობა ახალი ინიციატივა) წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი რეკომენდაციები საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მოსაზრებები და იდეები წარმოადგინა შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებამ და გამოხატა საკუთარი რეკომენდაციები. იხილეთ დებატებზე გამოკვეთილი ძირითადი რეკომენდაციები შეხვედრების მიხედვით:

### **სამტრედია, 13.06.2011**

რეკომენდაციები - საარჩევნო სისტემა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; გამარტივდეს საარჩევნო კოდექსი- კონკრეტული მუხლები მკვეთრად გაიწეროს, ხოლო დანარჩენი დეტალები დარეგულირდეს დამატებითი რეგულაციების და კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით; მოქალაქეებს, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო მოხელეებს/მოსამსახურენს), უნდა აეკრძალოთ საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმება.

### **ოზურგეთი, 14.06.2011**

რეკომენდაციები - უზრუნველყოფილ იქნას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების გამჭვირვალობა; გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო ექსპერტთა მოსაზრებები საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით; დაზუსტდეს და მაქსიმალურად დაიხვეწოს ამომრჩეველთა სიები.

### **ფოთი, 15.06.2011**

რეკომენდაციები - კანონმდებლობით დადგინდეს თვითმმართველი ქალაქების მერების პირდაპირი წესით არჩევა; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საარჩევნო კომისიაში პოლიტიკურ პარტიების მიერ

დანიშნული წევრების კვალიფიკაციაზე, რათა არ შეაფერხდეს საარჩევნო კომისიების მუშაობა; სასარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პერიოდში გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო გამოცდილება.

### **ქობულეთი, 16.06.2011**

რეკომენდაციები - განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს; დაიხვეწოს და დაზუსტდეს ამომრჩეველთა სიები; სისტემატურად გაიმართოს შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით.

### **ბათუმი, 17.06.2011**

რეკომენდაციები - დადგინდეს ერთი კონკრეტული ორგანო, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამომრჩეველთა სიის დახვეწაზე; წინასაარჩევნო პერიოდის ვადა გაიზარდოს და ნაცვლად 60 დღისა დადგინდეს 90 დღე; კანონმდებლობით აიკრძალოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ყველა საშუალება; შესაძლებელი გახდეს დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობა არჩევნებში, რომლებიც არ წარმოადგენენ არცერთ პოლიტიკურ პარტიას; კანონდებლობით დარეგულირდეს პოლიტიკურ პარტიათა მიერ, საარჩევნო კომისიებში, მათი წევრების სისტემატური ცვალებადობა წინასაარჩევნო პერიოდში.

### **ზუგდიდი, 20.06.2011**

რეკომენდაციები - საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტდეს მხოლოდ პარტიული წევრებისაგან; კანონმდებლობა დარეგულირდეს ისე, რომ ყველა პარტიას ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სახის რესურსზე; შესაძლებელი გახდეს დამოუკიდებელ კანდიდატთა მონაწილეობა არჩევნებში; საპარლამენტო არჩევნების დროს შემოღებულ იქნას რეგიონალურ-პროპორციული სისტემა.

### **ონი, 23.06.2011**

რეკომენდაციები - დაწესდეს კონტროლი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესზე; საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდეს არჩევნებამდე განსაზღვრული ხნით ადრე, რათა იყოს საკმარისი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩართული მხარეები შესაბამისად მოემზადონ; გამკაცრდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე კონტროლი და საჯარო მოხელეებს საერთოდ აეკრძალოთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა; შექმნას სამართლიანი საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმის თანასწორობას, თუმცადა ითვალისწინებდეს მცირე რაოდენობის ამომრჩევლიანი საარჩევნო ოლქების წარმომადგენლობას პარლამენტში.

მესტია, 01.07.2011

რეკომენდაციები - დამოუკიდებელ კანდიდატებს შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რომლებიც წარდგენილნი იქნებიან საინიციატივო ჯგუფების მიერ, სულ მცირე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მაინც; საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება მოხდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ; აიკრძალოს წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მონაწილეობა; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ამომრჩეველთა სიის დახვეწაზე.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ დაასრულა საქართველოს ამომრჩევლებთან შეხვედრები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. ორგანიზაცია გააკეთებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციის საბოლოო ანალიზს და მოსახლეობის რეკომენდაციებს წარუდგენს როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე ფართო საზოგადოებას.

---

ამ განცხადების გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიან არჩევნებს“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

